პროლეტარიელებო, ყველა ძმეულნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 2 აპრილი, 1943 წ. № 76 (6701). ფასი 20 კაპ.

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ჩაის კრეფას

ჩაის ხავერდოვან პლანტაციებში სამხედრო ტემპებით არის გაჩაღებული საგაზაფხულო სამუშაოები: გადაბარვა, ბუჩქების გასხვლა, სადრენაჟო ქსელის რემონტი. ამ სამუშაოების წარმატებით ჩატარებაზე დიდად არის დამოკიდებული ჩაის მაღალი მოსავლის მიღება. წელს ჩვენს ქვეყანასა და სახელოვან წითელ არმიას უნდა მივცეთ გაცილებით მეტი ჩაის პროდუქცია შარშანდელთან შედარებით. ეს ავალებს საქართველოს სუბტროპიკული რაიონების პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებს და სამიწათმოქმედო ორგანოებს საუკეთესოდ მოემზადონ ჩაის ფოთლის კრეფისათვის და 1943 წლის სახელმწიფო გეგმები შეასრულონ მთლიანად და გადამეტებით.

გასულ წელს საქართველოს მეჩაიე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმ კარგად იმუშავეს. კოლმეურნე ქალები ომიანობის დროის ტემპებით მუშაობდნენ ჩაის პლანტაციებში და შრომის მაღალ ნაყოფიერებას იძლეოდნენ. სოციალისტურ მინდვრებზე გამოიჭედნენ ჩაის კრეფის სახელოვანი ოსტატები. მათი რიცხვი წელს კიდევ უფრო უნდა ვამრავლოთ. ჩაის კრეფის მაღალი ოსტატების ქიონია სარსანიას, ხატიჯე კაკაბაძის, ფაცია დოლიძის, ბოჩო (დავით) კვარაცხელიას მუშაობის მდიდარი გამოცდილება ჩაის ფოთლის მკრეფავების კუთვნილებად უნდა გავხადოთ. სერიოზული ამოცანების წინაშე დგას რაიონული პრესა. მისი პატრიოტული ვალია ჩაის მკრეფავი წარჩინებული ადამიანების შესანიშნავი გამოცდილება ფართოდ გააცნოს მკითხველებს, თავის ფურცლებზე გააშუქოს სტახანოველთა მუშაობის მეთოდები და უჩვენოს ის ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებით მოწინავეები აღწევენ წარმატებებს ჩაის კრეფის საქმეში.

მიმდინარე წელს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ორგანიზებულად ჩატარებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვისათვის საჭიროა ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჩაის პლანტაციების გადაბარვის, გასხვლის, სადრენაჟო ქსელის შეკეთების, პლანტაციებში ორგანული სასუქების შეტანის სამუშაოთა დროულად დამთავრებას. ჩაის პლანტაციების გათოხნა უნდა ჩავატაროთ დაწესებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად.

კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა, რგოლებმა, საბჭოთა მეურნეობებმა მტკიცედ უნდა დანერგონ ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფის პრაქტიკა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან ფოთლის კრეფის გაჭიანურება, რადგან ეს გამოიწვევს მის გაუხეშებას. აპრილის ბოლო რიცხვებიდან დაიწყება ჩაის ფოთლის კრეფა. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მზადების ფარგოდ გასაჩაღებლად. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პირველ კრეფას. აჩქარება ან დაგვიანება ამ შემთხვევაში გამოიწვევს ბუჩქების მოსავლიანობის შემცირებას. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობამ და აგრონომებმა გულდასმით უნდა შეამოწმონ ჩაის ნაკვეთები და უზრუნველჰყონ შერჩევითი კრეფის განხორციელება.

საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩაის კრეფის დროულად ჩატარებას. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მხურვალედ გამოეხმაურნენ ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ინიციატივას, ჩაებნენ შეჯიბრებაში და კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. ბევრგან მებრძოლურად ანხორციელებენ ნაკისრ ვალდებულებებს. მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის და სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში კარგად ემზადებიან ჩაის კრეფისათვის. ასევე ითქმის ქობულეთისა და ზუგდიდის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებზე. სამხედრო ტემპებით არის გაშლილი ამ მხრივ მუშაობა ინგირის, ლაითურის, ჩაქვის, ნარაზენის საბჭოთა მეურნეობებში. მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ არ ჩქარობენ და ხელიდან უშვებენ საუკეთესო დღეებს. მოქვის საბჭოთა მეურნეობაში ადგილი აქვს მუშა-ხელის დენადობას და ჩაის კრეფისათვის საჭირო მოწყობილობა მთლიანად არ შეუძენიათ. წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობაში აჭიანურებენ საგაზაფხულო სამუშაოებს. ჩაის საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები ვალდებული არიან გამოასწორონ ნაკლოვანებანი და მთელი ძალები დარაზმონ ჩაის კრეფის სეზონის სანიმუშოდ შეხვედრისათვის. საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს უფლება მიეცათ მეურნეობების ტერიტორიაზე მცხოვრები მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა და მოზარდები 14 წლის ასაკიდან სავალდებულო წესით ჩაებან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. ეს უფლება მათ მთლიანად უნდა გამოიყენონ და შრომითი რეზერვების შექმნით მიაღწიონ ჩაის კრეფის გეგმების მთლიანად შესრულებას.

ადგილობრივმა რაიონულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ ჩაის კრეფის გეგმების დაყვანა თითოეულ მკრეფავამდე. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველჰყონ საკოლმეურნეო ბრიგადები სასწორებით და მიაღწიონ იმას, რომ მოკრეფილი ფოთოლი უშუალოდ პლანტაციაში იქნას მიღებული, რომ მკრეფავი არ გაცდეს დიდი მანძილის გავლის გამო.

სერიოზული მუშაობა მოელით ჩაის ფაბრიკების მუშაკებს. მათი ვალია ამ თავითვე იზრუნონ მიმღები პუნქტების მოწყობაზე, დააკომპლექტონ ისინი სათანადო კადრით, დროულად მოიყვანონ სრულ წესრიგში სატრანსპორტო საშუალებანი. მიმღები პუნქტებიდან ჩაის ფოთოლი ფაბრიკებში გადაზიდულ უნდა იქნას დღეში ორსამჯერ მაინც. გასულ წელს ცალკეულ მიმღებ პუნქტებში ადგილი ჰქონდა ფოთლის გაჭიანურებით გადაგზავნას ჩაის ფაბრიკებში, რის გამო ჩაის ნედლეულის ხარისხი უარესდებოდა. ჩაის ფაბრიკების მუშაკთა საბრძოლო ამოცანაა მიიღონ ზომები ამ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად.

სამამულო ომის ამ მრისხანე ვითარებაში განუზომლად გაიზარდა ქალთა როლი საკოლმეურნეო წარმოებაში. ამჟამად კოლმეურნე ქალებს დაეწვათ მხრებზე საკოლმეურნეო წარმოების ძირითადი სიმძიმე. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ქალთა შრომა ჩაის კრეფის საქმეში. ბევრ კოლმეურნეობაში აწყობენ საბავშვო ბაღებს, ბაგებს, მოედნებს და ამით საშუალებას აძლევენ ყველა შრომისუნარიან ქალს მაქსიმალური დატვირთვით იმუშაოს კოლმეურნეობაში. უნდა მივბაძოთ მოწინავე კოლმეურნეობებს და ადგილებზე გავაფართოოთ საბავშვო დაწესებულებათა ქსელი, მით უმეტეს, რომ კოლმეურნე ქალები სწყვეტენ ახლა საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებას.

სამამულო ომის ამ გადამწყვეტ მომენტში სოფლის მეურნეობის მუშაკებს მოეთხოვებათ კიდევ უფრო მეტად დაძაბონ მთელი ძალები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სანიმუშოდ შესრულებისათვის. მაშ, ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ისთა პასუხსაგებ, სერიოზულ სამუშაოს, როგორიც არის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა, მთლიანად, გადამეტებით და ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვით შევასრულოთ ჩაის კრეფის გეგმები. ეს იქნება მძლავრი დახმარება ფრონტისადმი.

ნოვოროსიისკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში

[illegible]

წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება

სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად

იმ ქარხნის კოლექტივი, რომლის დირექტორია ამხ. ბ. სარიშვილი და პარტბიუროს მდივანი ამხ. ნ. ფირცხალავა, წარმატებით ასრულებს წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. ქარხანამ კვარტალური გეგმა 122 პროცენტით შეასრულა, ხოლო მარტისა—138 პროცენტით. ქვეყანას, ფრონტს გეგმის გადამეტებით მისცა მნიშვნელოვანი რაოდენობის პროდუქცია.

ქარხნის ყველა საამქრო. საოსტატო, ყველა მუშა ჩაბმულია სოცშეჯიბრებაში. საამქროებში, საწარმოო თათბირებზე სისტემატურად იხილავენ ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას.

შეჯიბრებაში დაწინაურდა № 23 საამქრო (უფროსი ამხ. ტ. სპიცინი), სადაც დროზე ხდება სპეციალურ მოწყობილობათა შერჩევა და რაციონალურად იყენებენ მანქანა-დანადგარებს. ამ საამქროში მარტის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას დიდად შეუწყო ხელი ხელოსნების ოპერაციებზე გაპიროვნებამაც. მარტში 6 მოწაფე გადაიყვანეს დამოუკიდებელ სამუშაოზე. ახლა ისინი (ოსეფაშვილი, კოკოზაშვილი, აბაევი და სხვ.) მუშაობენ თავის უფროსებს არ ჩამოუვარდებიან.

წინ მიდის აგრეთვე № 3 საამქრო (უფროსი ამხ. ე. ქაბზიანიძე), სადაც, ისევე, როგორც სხვა საამქროებში, ყველა სამუშაო საათარი დროის გრაფიკის მიხედვით სრულდება. შრომის დისციპლინის განმტკიცებამ, სამუშაო ადგილის წინასწარ მომზადებამ, სამუშაო დროის სრული დატვირთვით გამოყენებამ და საგიტაციო მუშაობის კარგად დაყენებამ უზრუნველჰყო ამ საამქროს გეგმის სანიმუშოდ შესრულება. ასევე ითქმის № 11 საამქროზე, სადაც უფროსად ამხ. მანუკოვია.

სტახანოველები ბენდიანაშვილი, ბერესლავსკი, ბაბენკო, მამონტოვი, ბაიაზიანი, ოსტატები ორდენოსანი, როდონაია, მედალოსანი სვანი, ხუციშვილი და სხვ.—ის ის ადამიანები, რომლებსაც ქარხნის მოწინავეთა შორის ყოველთვის სასახელოდ იხსენიებენ.

იძლევიან მეგსა და მაღალხარისხოვან პროდუქციას

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის კოლექტივი მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით ყოველდღიურად აძლიერებს ფრონტისადმი დახმარებას. ფაბრიკას წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების მიხედვით მარტის გეგმა ნატურით უნდა შეესრულებინა 103 პროცენტით, ფაქტიურად შეასრულა 106.6 პროცენტით. იმავე სოცშეჯიბრების ხელშეკრულებით პირველი ხარისხის ქსოვილი მარტში უნდა გამოეშვა 82 პროცენტის რაოდენობით, სინამდვილეში გამოუშვა 85,9 პროცენტი. ეს მიღწეულ იქნა ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებით.

გარდა ამისა, ფაბრიკის კოლექტივმა თებერვალსა და მარტში აითვისა და გამოუშვა ბამბის სპეციალური დანიშნულების ქსოვილი, რომელიც გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით თავი ისახელეს სამღებრო-საპარეტურო საამქროს (უფროსი ამხ. ვ. ჭანნიშვილი) და კამოლურ-სართავი საამქროს კოლექტივებმა. მარტისათვის ნაკისრი ვალდებულებანი ყველა მაჩვენებლის მიხედვით შეასრულეს.

ნაკისრი ვალდებულებანი ნარმაგებით შეასრულეს

ქარხანა, რომლის დირექტორად ამხ. მელაძეა, დროულად ჩაება წინასამაისო სოცშეჯიბრებაში. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება აიღო მარტის გეგმა შეესრულებინა 105 პროცენტით. 31 მარტს გეგმა უკვე 109 პროცენტით იყო შესრულებული. ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე კვარტალური გეგმა.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში გამოირჩეოდნენ ჩამომსხმელი, სამექანიკო და დამამზადებელი საამქროები. საწარმოო გეგმების შესრულებასთან ერთად მოწინავე მუშებმა მთელი რიგი ახალი რაციონალიზატორული წინადადების განხორციელებით მისი, დაზგა ნაცვლად 10 დეტალისა 20 დეტალს უშვებს.

ქარხნის კოლექტივს ყველა პირობა გააჩნია იმისათვის, რომ აპრილში კიდევ უკეთ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება და სამშობლოს, სახელოვან წითელ არმიას, მისცეს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

მარგის გეგმა 120 პროცენტით შეასრულეს

ქარხანამ, სადაც დირექტორად ამხ. ბიჩინაკა, წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას მთელი რიგი ვალდებულებები იკისრა. ქარხნის კოლექტივმა პირობა დასდო, რომ მარტს საწარმოო გეგმას 110 პროცენტით შეასრულებდა. ეს ვალდებულება გადაჭარბებით გაანაღდეს: მარტის გეგმა ქარხანამ 120 პროცენტით შეასრულა. უნდა აღინიშნოს, რომ ქარხანა იანვარ-თებერვალშიც წარმატებით იბრძოდა გეგმების შესრულებისათვის, რის შედეგად პირველი კვარტალის გეგმა 19 მარტისათვის შეასრულა.

გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში გამოირჩევიან № 1, 2 და 5 საამქროები. № 1 საამქროს (უფროსი ამხ. სუკასოვი) პირველი კვარტალის გეგმა მარტის დამდეგს შეასრულა. № 2 საამქროს (უფროსი, ამხ. მაჩაბელი)—5 მარტს. ასევე ვადაზე ადრე შეასრულა კვარტალური გეგმა № 5 საამქროს (უფროსი ამხ. ემელიანოვი).

ქარხანას ჰყავს ხუთასოვანი სტახანოველები, რომლებმაც წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელეს. ელექტროშემდუღებელმა ამხ. რასტმა ვალდებულება აიღო მარტსა და აპრილში ყოველდღიური ნორმა შეასრულოს არა ნაკლებ 500 პროცენტისა, მარტში იყო ისეთი დღეები, როცა ამხ. რასტი 1,000 პროცენტით ასრულებდა ნორმებს, ხოლო საშუალოდ თვის განმავლობაში აღებული ვალდებულება წარმატებით გაანაღდა. მეშტამპერ ამხ. ტროფიმოვამ საერთო კრებაზე პირობა დასდო, რომ დღიურ ნორმებს მარტში 550 პროცენტით შეასრულებდა, ფაქტიურად კი ის ნორმებს 600 პროცენტით ასრულებდა.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა ფართო მოხმარების საგნების, ახალი სახის პროდუქციის ათვისება და გამოშვება. ქარხნის კოლექტივი ამ ვალდებულებასაც ასრულებს,—უკვე უშვებს სხვადასხვა ზომის ქლიბებს, ჭურჭლისა და უთოს შესადებებს და ლიათონის სხვა ნაწარმს. ამ საქმეში თავი ისახელა სტახანოველმა ამხ. ოტიაშვილმა, რომელმაც მაღე აითვისა ახალი პროფესია. იგი ყოველდღე ორ ნორმას ასრულებს.

საელმავლო საამქროს წარმაგება

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საელმავლო საამქროს კოლექტივმა წინასამაისო სოცშეჯიბრებაში შემდეგ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: მარტის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა ორი წვეის ძრავის ღუზა და ორი დამხმარე მანქანა. ამასთანავე გეგმის გადამეტებით გამოუშვა ორი საბრძოლო ერთეული. საამქროს პირველი კვარტალის გეგმა 120 პროცენტით შეასრულა.

სამუშაოთა სწორი დაგეგმვის, შრომის სწორი ორგანიზაციისა და შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენების შედეგად საამქროს ერთ-ერთი ელმავალი გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაზე 8 დღით ადრე გამოუშვა, ელექტრო-ვაგონების შეკეთებაში დგომის დრო 30 პროცენტით შეამცირა.

საამქროს საოსტატოებსა და ბრიგადებს შორის ფართოდ არის გაშლილი წინასამაისო სოცშეჯიბრება. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვთ სამანქანო საოსტატოს (ოსტატი ამხ. ვ. მაისურაძე) და მექანიკურ საოსტატოს (ოსტატი ამხ. მ. კუპრავა). ამ საოსტატოების მოწინავე სტახანოველების ამხ. მ. ხატაშვილის, ა. მისკაროვის, ს. გელენიძის და ლ. დემეტრაშვილის ბრიგადებმა მარტის გეგმა 200-300 პროცენტით შეასრულეს.

საამქროს ვალდებულება აიღო ვადაზე ადრე შეასრულოს აპრილის გეგმა და ბრწყინვალე შედეგებით შეხვდეს პირველი მაისის დღესასწაულს.

აპ. მასხარაშვილი

საგაზაფხულო თესვა ჩავატაროთ ორგანიზებულად, შემჭიდროებულ ვადებში

თელავის მტს-ი იბრძვის ახალი წარმატებებისათვის

თელავის მტს-ის მუშაკებმა საერთო კრებაზე განიხილეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ“, შემოიტანეს საქმიანი წინადადებები და აიღეს კონკრეტული ვალდებულებები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირის მინსახკომის მიერ სოფლის მეურნეობის წარჩინებულმა, ნიშნით დაჯილდოებულმა მჭედელმა ნიკო წიგნაძემ აიღო ვალდებულება ყოველდღიური გეგმა შეასრულოს 300 პროცენტით და მაღალხარისხოვან. ამავე ნიშნით დაჯილდოებულმა პირველი სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა შაქრო ლუცუბიძემ, ბრიგადირის მოადგილემ გ. კიკოლაძემ და ტრაქტორისტმა შ. ბაციაშვილმა აიღეს ვალდებულება ბრიგადის საგაზაფხულო ხვნის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულონ, ნაცვლად 320 ჰექტარისა მოხნან 360 ჰექტარი და საწვავი დაზოგონ 10 პროცენტის რაოდენობით.

კომბაინერმა მ. ტყავაძემ იკისრა კომბაინის რემონტი დაამთავროს ვადაზე ათი დღით ადრე. შემდეგელმა სტახანოველმა ვ. შიგრინმა კი—ყოველდღიური ნორმა შეასრულოს 300 პროცენტით, ხოლო ზეინკლმა გ. დავითაშვილმა აღინიშნული დადგენილების საპატიოდ აიღო ვალდებულება დღიური ნორმები 250 პროცენტით შეასრულოს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სარეალიზაციოდ საერთო კრებამ იკისრა ახალი კონკრეტული ვალდებულებები, მათ შორის სატრაქტორო სამუშაოთა 105 პროცენტით შესრულება და საწვავის დაზოგვა 10 პროცენტის რაოდენობით.

მთელი რიგი სატრაქტორო ბრიგადები და ტრაქტორისტები აღებულ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ. მერვე სატრაქტორო ბრიგადას (ბრიგადირი ი. მრელაშვილი) გაზაფხულზე უნდა მოეხნა 179 ჰექტარი, ფაქტიურად 23 მარტისათვის უკვე მოხნული ჰქონდა 165 ჰექტარი—გეგმის 93 პროცენტი. მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადას ეკალება 210 ჰექტარის მოხვნა, ფაქტიურად მოხნული აქვს 90 ჰექტარი, გეგმის 43 პროცენტი.

სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ აგრეთვე ტრაქტორისტები: ვანო კოჭლაშვილი, გიორგი მამუკელაშვილი, ფირუზა კომშიშვილი, მიშა გაფარაშვილი და მარგო აბრამაშვილი.

თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივმა, რომელმაც წარსული წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ვადაზე ადრე დაამთავრა აგრეთვე 1943 წლისათვის ტრაქტორების რემონტი. გეგმების წარმატებით შესრულებისათვის იგი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული გურჯაანისა და ყვარლის მტს-ებთან, იგი ყველაფერს გააკეთებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღინშნული დადგენილების მტკიცედ განხორციელებისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარების 1943 წლის დავალებათა წარმატებით შესრულებით ხელს შეუწყობს, გმირ წითელ არმიას ვერაგი მტრის—ჰიტლერელთა ურდოების დაჩაგვრაში გადადგურებაში.

ვ. ლუარსაბოვი

მეცხვარეები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში

წითელწყაროს რაიონი, ტარიბანა („კომუნისტის“ საკ. კორ.). შირაქის საზამთრო საძოვრებზე მყოფი დუშეთის რაიონის კოლმეურნე მეცხვარეები გულდასმით ეცნობიან ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვას, 1943 წლის მაღალი სამხედრო მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის სოცშეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ და კოლმეურნეობენ მთელ რიგ კონკრეტულ ვალდებულებებს. სოფ. ჩიტაურების 8 მარტის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგემ გ. ჭიკაიძემ და ამავე ფერმის მეცხვარეებმა აიღეს ვალდებულება: გადაჭარბებით შეასრულონ მეცხვარეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმა, ყოველ 100 დედაცხვარზე გამოზარდონ არანაკლებ 92 ბატკნისა, თითოეულ ცხვარზე საშუალოდ მიიღონ 3 კილოგრამი მატყლი.

20 მარტისათვის ამ კოლმეურნეობის ფერმაში უკვე დადოლებული იყო 180 ცხვარი და ბატკნების სიკვდილიანობის მხოლოდ ორ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ფერმის გამგე გ. ჭიკაიძე ამავე დროს გამოცდილი მცნობარია და ყოველ ღონეს ხმარობს ნამატის მთლიანად შენარჩუნებისათვის.

ნ. ხეთაგური

ქალთა რაიონული შეკრება

კასპი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჩატარდა კოლმეურნე ქალთა რაიონული შეკრება, რომელსაც 300-ზე მეტი ქალი ესწრებოდა. მიმდინარე წლის მაღალი სამხედრო მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში ქალთა მონაწილეობის შესახებ შეკრებამ მოისმინა კასპის რაიასპკომის თავმჯდომარის ამხ. ა. გორჯოლაძის, მოხსენება.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ და თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე ილაპარაკეს სტახანოველმა ქალებმა: ბ. სიდამონიძემ, ს. დალაქიშვილმა, ს. ფარემუზაშვილმა, მ. ჩაფუნელმა, დ. ტერტერაშვილმა და სხვებმა. მათ ვალდებულება აიღეს იმუშაონ ფრონტისადა მიიღონ მაღალი სამხედრო მოსავალი. ვიორგი საკაძის მშობლიური სოფლის—ნოსტეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქალმა ნ. ბიზანბარელმა განაცხადა: „ჩვენი ქმრები, ძმები და შვილები სამამულო ომში მამაცურად იბრძვიან. მუხანათი მტრის წინააღმდეგ. ჩვენი, ზურგში მყოფ ადამიანების ვალია ვიმუშაოთ მეომრულად და ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მივცეთ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ჩვენ დაუღალავად ვიმუშავებთ, რომ თესვა შემჭიდროებულ ვადაში დავამთავროთ და უხვი სამხედრო მოსავალი მივიღოთ.

კოლმეურნე ქალებმა, რომლებმაც ერთსულოვნად მოიწონეს გორელ კოლმეურნე ქალთა მიერ სოცშეჯიბრებაში გამოწვევა, ვალდებულება აიღეს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 300-400 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 10-12 ცენტნერი ხორბალი, 20 ცენტნერი სიმინდი. მეაბრეშუმე ქალებმა იკისრეს თითოეული კოლოფი აბრეშუმის თესლიდან მიიღონ 50 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი. კასპის რაიონის კოლმეურნე ქალებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს მცხეთის რაიონის კოლმეურნე ქალები.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი ამხ. ვლ. ქვეალაძე.

შ. ჩუბინიძე

წულუკიძელი მეაბრეშუმეები მაღალი მოსავლისათვის იბრძვიან

წულუკიძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). წულს რაიონში წარმატებით დამთავრდა აბრეშუმის პარკის კონტრაქტაცია. წულუკიძელი მეაბრეშუმე ქალები ემზადებიან პარკის უხვი სამხედრო მოსავლის მისაღებად. 27 მარტს წულუკიძეში ჩატარდა რაიონის მეაბრეშუმე სტახანოველ ქალთა და მეაბრეშუმეობის სპეციალისტთა შეკრება, რომელსაც 450 მეაბრეშუმე დაესწრო. შეკრებამ მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივნის ამხ. ა. რუხაძის მოხსენება მეაბრეშუმეობის დარგში 1942 წლის შედეგებისა და 1943 წლის ამოცანების შესახებ. შეკრებაზე კონკრეტული ვალდებულებები აიღეს სტახანოველებმა: ელენე მაჭარაძემ (იკისრა გეგმა შეასრულოს 180 პროცენტით), 70 წლის მენიკო ჭოლოკავამ (იკისრა გეგმა შეასრულოს 150 პროცენტზე მეტით და მუშაობს სტახანოვური მეთოდები შეასწავლოს გეგმის შესრულებაში ჩამორჩენილ 10 მეაბრეშუმეს). კონკრეტული ვალდებულებები აიღეს აგრეთვე მოწინავე მეაბრეშუმეებმა ოლგა ღუჩუმელიამ, ელენე ცაგარეიშვილმა, ფედოსი რუხაძემ და სხვ.

კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანი ამხ. ლ. გორგიძე, საქ. აბრეშუმის ტრესტის წარმომადგენელი ამხ. ვ. მოწონელიძე და რაიაბრეშუმის გამგე ი. ხობუა.

წულუკიძის რაიონის მეაბრეშუმე სტახანოველთა შეკრებამ 1943 წლს პარკის უხვი მოსავლის მიღებისათვის სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სამტრედიის რაიონის მეაბრეშუმეები და თავის მხრივ აიღო კონკრეტული ვალდებულებანი, სახელდობრ: უახლოეს დღეებში დაამთავროს ყველა მეაბრეშუმის გადამზადება აგროტექნიკურ წრეებში, ჭიის კვების ხანგრძლივობის მაქსიმალურად შემცირებისათვის 1.000 ფრანკლინის ლუმელის აგება, ყველა საბრეშუმო ბინებში დეზინფექციის ჩატარება, ვადაზე ადრე და ნორმალური გამოკვების შედეგად საგაზაფხულო (პირველი გამოკვების) ჭიის 4.350 კოლოფი თესლიდან თითოეულ კოლოფზე სულ მცირე 49 კილოგრამი პარკის მიღება, მეორე გამოკვების 550 კოლოფზე კი თითოეული კოლოფიდან—35 კილოგრამისა, გარდა ამისა, ვალდებულებაში ნათქვამია, რომ არ დაუშვებენ პარკის დანაკარგებს, წელს თუთის სანერგეს გააშენებენ 2 ჰექტარზე, დარგავენ მაღალტანიან 25.000 ძირ თუთის ხეს, სანიმუშოდ მოუვლიან თუთის ხეებს, დაუღალავად იბრძოლებენ იმისათვის, რომ წელს ჩვენს ქვეყანას მისცენ უხვი და მაღალხარისხოვანი პარკი.

კ. ცაცუა

დეპეშები

საომარი მოქმედება ჯუნისში

ლონდონი, 31 მარტი (საკდესი). ოფიციალური ცნობით, გუშინ, თვითმფრინავებიდან დაშენის შედეგად, უდერფასა და სფაქს შუა მდებარე გზაზე მოსაბილია მოწინააღმდეგის სულ ცოტა 50 მოტოსაზიდარი და დაზიანებულია 300 მოტოსაზიდარი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მტრის 20 თვითმფრინავი.

რეიტერის სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანელები სწრაფად იხევენ ჩრდილოეთისაკენ. ამჟამად რომელის მთავარი ამოცანაა, შეუერთდეს არნიმის ჯარებს ჩრდილოეთში. შესაძლოა, რომ რომმელი შეეცდება გამაგრდეს ბიზერტა-ტუნისის ხაზზე.

მარტის პოზიციებზე რომმელის განკარგულებაში იყო გერმანელთა ორი სატანკო, 1 მსუბუქი ჯავშანსატანკო და 1 ქვეითი დივიზია, აგრეთვე იტალიელთა რამდენიმე დივიზია. ბრძოლაში უმთავრესად გერმანელებს დაარტყეს, რის გამო მათი ზარალი ადამიანთა და მატერიალური ნაწილის მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

ლონდონი, 31 მარტი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის მე-8 არმია განაგრძობდა წინ წაწევას ჩრდილოეთისაკენ და გუშინ დილით დაიკავა პუნჭტები მეტუია და უდერფი. მოწინააღმდეგე ცდილობს გამაგრდეს ნაჩქარევად მომზადებულ თავდაცვითს პოზიციებზე. ჰაფსის სექტორში მოკავშირეთა ჯარებმა ნაღმიანი არიები გადალახეს და წინ წაიწიეს, ხოლო ჩრდილოეთით სეჯენანე დაიკავეს.

ალჟირის რადიოს ცნობით, ამჟამად გაფთრებული ბრძოლებია უსელტიისა და ფაიდის რაიონებში. გერმანელთა ჯარები სფაქსისაკენ იხევენ.

ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტი განუწყვეტლივ ბომბავს გერმანელთა კოლონებს, რომლებიც სანაპიროს გასწვრივ ჰაბესის ჩრდილოეთით იხევენ.

ამერიკის ჯარებმა გუშინ დაიწყეს წინ წაწევა ელ-ჰეტარიდან, რათა მტრის ჯარების ნაშთებისაგან გასწმინდონ ის რაიონი, რომელიც ამერიკელებს მე-8 არმიისაგან ჰყოფს.

იდენი ოტავას ჩავიდა

ლონდონი, 31 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი ოტავას (კანადა) ჩავიდა.

უდიდესი აფეთქება ნეაპოლში

ჟენევა, 31 მარტი (საკდესი). რომში გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ 28 მარტს ნეაპოლში აფეთქდა საომარი მასალის საწყობი. აფეთქების შედეგად დაიღუპა 72 კაცი და დაიჭრა 1.179 კაცი. აფეთქების მიზეზების გამოსაძიებლად შექმნილია სპეციალური კომისია.

ბერძენი ხალხი ქეიწს არ იხრის ოკუპანტების წინაშე

სტამბოლი, 1 აპრილი (საკდესი). საბერძნეთში იზრდება ანტიგერმანული და ანტიიტალიური მოძრაობა. მთელს საბერძნეთში ვრცელდება არალეგალური ფურცლები, რომლებიც მოსახლეობას მოუწოდებენ გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიოს ოკუპანტების მიერ ბერძენთა მობილიზაციის გერმანიაში სამუშაოზე გასაგზავნად. სახლების კედლებზე ათენსა და პირეიში ჩნდება მრავალი წარწერა: „ძირს გერმანელები!“, „უმჯობესია სიკვდილი, ვიდრე ფაშისტებისათვის მუშაობა!“, „ჩაშალეთ გერმანელების მიერ გამოცხადებული მობილიზაცია!“. გასული თვის შუა რიცხვებში ათენში შესდგა ხალხმრავალი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათასობით მუშამ და ათენის უნივერსიტეტის სტუდენტმა. იტალიელთა ჯარები ცდილობენ გაერეკათ დემონსტრანტები, მოხდა შეიარაღებული შეტაკებანი, რომელთა შედეგად ბევრი მოჰკლეს და დასჭრეს. დემონსტრაციის მონაწილეთა დიდი რიცხვი დაპატიმრებულია.

ბერძენ პატრიოტთა ბრძოლა

ნიუ-იორკი, 31 მარტი (საკდესი). პრესა იუწყება, რომ საბერძნეთში პარტიზანული მოძრაობა იზრდება. პარტიზანები განუწყვეტლივ არღვევენ რკინიგზის მიმოსვლას. მათ კონტროლქვეშ არის საბერძნეთის ბევრი რაიონი. ფლორინის ოლქში, ბერძენი პარტიზანები იუგოსლავიელ პარტიზანებთან ერთად მოქმედებენ.

საფრანგეთის ოქროს ბედის შესახებ

ნიუ-იორკი, 30 მარტი (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმოხილველი პერტინაქსი იუწყება, ამერიკელებმა აქამდე ვერ მოახერხეს აღმოეჩინათ საფრანგეთის ბანკის ოქრო ერთი მილიარდი დოლარის რაოდენობისა, რომელიც გაგზავნილი იყო დაკარს 1940 წლის გაზაფხულზე. როგორც საფრანგეთის ოფიციალური პირები იუწყებიან დაკარში, ეს ოქრო გერმანელთა ხელში ჩავარდა. ამ ოქროს ერთი ნაწილი, შესაძლოა, უკანვე იქნა წაღებული საფრანგეთში, სადაც ჰიტლერელებმა მიიღეს იგი ისე, როგორც წინათ ხელთ იგდეს ბელგიის ბანკის ოქროს მარაგი 200 მილიონი დოლარის რაოდენობით, რაც დაკარს იყო გაგზავნილი, მაგრამ შემდეგ ბელგიაში დაბრუნეს.

ცვლილებანი საბერძნეთის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში

ლონდონი, 29 მარტი (საკდესი). „ტაიმსი“ იუწყება, რომ კაიროში შემდგარი მოლაპარაკების შედეგად, რომელსაც იქ მყოფი საბერძნეთის მეფე გიორგი და პრემიერ-მინისტრი ცუდეროსი აწარმოებდნენ ბერძენ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, პარტიებისა და საბერძნეთის შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენლებთან, მოხდენილ იქნა ცვლილებანი საბერძნეთის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში.

მთავრობას განზრახავ აქვს ახლო აღმოსავლეთში დაჩოქეს.

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ქუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ალ. წულუკიძის სახელობის პარტიული გაანთლების სახლში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის XVII პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და ქალაქის განმავლობაში XVI პლენუმიდან XVII პლენუმამდე საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების შესახებ.

პირველი საკითხი ირგვლივ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ნარსია.

წითელი არმიის მებრძოლებისა და მეთაურების ოჯახებისათვის დახმარების კვირეულის განმავლობაში, 1 თებერვლიდან 7 თებერვლამდე, პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების და მშრომელთა მონაწილეობით ქალაქში შეგროვებულ იქნა 89.165 მანეთი, 199 ცალი ტანსაცმელი, 959 წყვილი ფეხსაცმელი, 135 სხვადასხვა სახის საოჯახო ნივთი და 117 კილოგრამი საკვები პროდუქტები. ამ მხრივ კარგად იმუშავეს № 50, № 41, № 56, № 18, № 59, № 65 საუბნო სამეთვალყურო კომისიებმა. კვირეულის პერიოდში 40 ფრონტელის ოჯახს შეუკეთდა ბინა, დახმარება გაეწია 600-ზე მეტ ოჯახს, აგრეთვე დახმარება მიეცათ ევაკუირებულ ოჯახებს.

დღემდე 1.121 ოჯახს მიეცა 2.265 წყვილი ფეხსაცმელი, სრულიად უსასყიდლოდ კი — 1.160 წყვილი, ტანსაცმელი ფასით—1.768 ცალი, ხოლო უფასოდ—1.364, საკვები პროდუქტები—409 კილოგრამის რაოდენობით, 203 ოჯახს მიეცა სხვადასხვა სახის საოჯახო ნივთები, სპეციალ მიეცა 333 ოჯახს, შეშა — 946 ოჯახს, ქვანახშირი—613 ოჯახს, რემონტი გაუკეთდა ფრონტელთა 74 სახლს. 120 ოჯახს მიეცა დასაშუშავებლად 10 ჰექტარი მიწის ფართობი. სამხედრო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნა 5.161 ოჯახი, ადგილობრივი გადასახადისაგან—3.115 ოჯახი. სამხედრო მოსამსახურეთა შვილებს უფასოდ დაურიგდათ სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები: ასეთი დახმარება გაეწია 965 მოწაფეს. სამედიცინო მოსამსახურეთა ოჯახებიდან სამუშაოზე მოწყობილია 712 კაცი და 110 ომის ინვალიდი. ფულადი დახმარება მიეცა 510 კაცს, 10.103 მანეთის რაოდენობით, ხოლო—სანიტარიული დახმარება დანიშნული აქვს მრავალ ადამიანს.

მიუხედავად ამისა, მშრომელთა დეპუტატების ქალაქის საბჭოს აღმასკომის სოციუზრუნველყოფის განყოფილება (გამგე ამხ. თ. ტყეშელაშვილი), კავშირგამაერთიანებელ ქუთაისის განყოფილება (უფროსი ამხ. შ. ჭეიშვილი), საბინაო სამმართველო (მმართველი ამხ. ნ. ალხაზაშვილი) ფრონტელთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის საქმეს ჯერ კიდევ არ აქცევენ სათანადო ყურადღებას.

მეორე საკითხის შესახებ პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. გ. ავალიანი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, XVI პლენუმიდან XVII პლენუმამდე, ე. ი. 1942 წ. 29 დეკემბრიდან 1943 წლის 25 მარტამდე, საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღებულ იქნა 121 კაცი, აქედან წევრად—57. ხოლო პარტიის წევრობის კანდიდატად—64. პარტიის რიგები იზრდება მოწინავე ადამიანების ხარჯზე. პარტიაში მიღებული არიან სამამულო ომის დროის სტახანოველები, რომლებიც საწარმოო დავალებას დიდი გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად ასრულებენ: ნ. ხარაბაძე, ნ. ცირკაიძე, ლ. კაშია, ნ. ტიმოშენკო, ნ. ლეონავა, ვ. წერეთელი, ვ. პაპალაძე, ვ. ბანოვიჩი, შ. ნანიშვილი, მ. ჯინჯიხაძე და სხვები.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: იოსელიანმა, ჭეიშვილმა, სახელაშვილმა, ალხაზაშვილმა, ტყეშელაშვილმა, უგულავამ, დოლიძემ, ძიძისტარაშვილმა, დალაქიშვილმა, გალუსტოვმა, ჩაკვეტაძემ, მაჭარაძემ, ყუფარაძემ, ელეაშვილმა, ვაჩაძემ, ჩხეიძემ.

მოსმენილ მოხსენებათა ირგვლივ პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებები.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის პლენუმი

31 მარტს, შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის, VI პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: რაიკომის ანგარიში 1942 წლის 20 თებერვლიდან მიმდინარე წლის 1 მარტამდე და ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა პირველ საკითხზე მოისმინა რაიკომის მდივანის ამხ. ვ. გონგაძის მოხსენება.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: ა. კალანდია, თ. მამალაძე, მ. ნანიტაშვილი, ა. ბაღდასაროვი, მ. კალანტაროვი, ს. ალიხანოვი, შ. სალდაძე, ე. გოგიაშვილი.

პლენუმმა რაიონული კომიტეტის მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად და დასახა ღონისძიებები შემდგომი მუშაობისათვის.

პლენუმმა რაიკომის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ვ. გონგაძე მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო. რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად პლენუმმა აირჩია ამხ. გ. ლუარსაბოვი.

პლენუმმა ამხ. ვ. გონგაძე, ამხ. ვ. ლელინი და ამხ. ჭავჭანიძე, სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო, გამოიყვანა რაიკომის